

ა ნ გ ა რ ი შ ი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია, რომელიც წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, შეიქმნა 2017 წლის 27 ნოემბერს, რომლის შემადგენლობა განისაზღვრა 17 წევრით.

ერთგვაროვან ფუნქციათა დაჯგუფების მიხედვით კომისიაში შექმნილია ორი სამუშაო ჯგუფი:

1. სამანდატო და საპროცედურო საკითხთა სამუშაო ჯგუფი;
2. საკადრო პოლიტიკისა და ეთიკის სამუშაო ჯგუფი;

2019 წლის განმავლობაში კომისია თავის საქმიანობას წარმართავდა საქართველოს კონსტიტუციის, ევროპული ქარტიის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის, კომისიის დებულებისა და სამუშაო გეგმის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ მომზადებული და ჩატარებული იქნა 4 სხდომა, რომელზეც განხილული იქნა 13 საკითხი.

გეგმით გათვალისწინებული საკითხების მიხედვით - ბიუროსა და საკრებულოს სხდომებისათვის განსახილველ პროექტებზე მომზადებულ იქნა კომისიის 13 დასკვნა, მათ შორის 11 დადებითი და 2 უარყოფითი

ესენია:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის და მერიის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. (უარყოფითი)

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ. (უარყოფითი)

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და საჯარო ინფორმაციის ბეჭდური სახით გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ .

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“.

7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

9. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

10. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

11. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

12. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

13. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

საანგარიშო პერიოდში დაწესებული იყო კონტროლი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის, სამსახურებრივი ეთიკის, ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე.

კომისია სისტემატიურად უზრუნველყოფდა შემოსული წერილების, განცხადებების და პროექტების განხილვას.

კომისიის უფლებამოსილების სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე იკვლევდა მოსახლეობის ინტერესებს.

ამასთან ერთად ინდა აღვნიშნო, რომ კომისიას მეტის გაკეთება შეეძლო, რაზედაც მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი საკითხი მუნიციპალიტეტის სიმბოლოების დროშისა და გერბის დამტკიცების თაობაზე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე კომისიამ შეიმუშავა მომდევნო წლის სამუშაო გეგმა, რაც იმედს იძლევა იმისა, რომ კომისიის მუშაობა უფრო ნაყოფიერი და წარმატებული იქნება 2020 წლის საანგარიშო პერიოდისთვის.